სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
Applied Social Psychology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი,
MSc in Applied Social Psychology

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემის ანალიზი, სოციალური პროგრამების შემუშავება და დანერგვა სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებსა და მიდგომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური ქცევისა და პრობლემების გაგებასა და რეგულაციაში. პრაქტიკული მნიშვნელობის გამო ის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა.

“გამოყენებითი სოციალური ფსიოქლოგიის” სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, გაეცნონ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.

სტუდენტები გაღრმავებულად შეისწავლიან ძირითად თეორიებს, მიდგომებს, თანამედროვე პერსპექტივებსა და ემპირიულ აღმოჩენებს; კვლევის მეთოდებისა და ინტერვეციის ტექნიკების გამოყენებას სხვადასხვა სოცილაური პრობლემების გადაჭრისას ისეთ სფეროებში როგორიცაა ჯანდაცვა, ორგანიზაცია, განათლება, პოლიტიკური ქცევა, ეკონომიკური ქცევა და ა.შ. ძირითადი აქცენტი გაკეთდება სოციალური პრობლემების განხილვაზე, ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაზე, ქცევის შეცვლის ეფექტური სტრატეგიებისა და ინტერვენციის დაგეგმვასა და შეფასებაზე.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემის ანალიზი, სოციალური პროგრამების შემუშავება და დანერგვა სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვლევით კომპონენტს და კვლევასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას. პროგრამის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; დამატებით, სტუდენტები განივითარებენ კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარებს.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში
- გასაუბრება ინგლისურ ენაში

სწავლების შედეგი:

კურსის გავლის შედეგად სტუდენტები ფლობენ შემდეგ ცოდნასა და უნარებს:

1. **ცოდნა და გაცნობიერება** – სტუდენტებმა იციან გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული მიდგომები, მიმართულებები, კლასიკური და თანამედროვე ემპირიული აღმოჩენები. აქვთ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა; სტუდენტები აცნობიერებენ ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –** სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა გარემოში (ორგანიზაციული, განათლების, ჯანდაცვის) სხვადასხვა მოვლენის თუ ფენომენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გაანალიზება და შეფასება; სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

შეუძლიათ მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება ეთიკისა და თანამედროვე სტანდარტების დაცვით.

3.**დასკვნის უნარი** – სტუდენტებს შეუძლიათ ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

შეუძლია კვლევის მონაცემების ღრმა სტატისტიკური ანალიზი და ანგარიშის წარმოდგენა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

4. **კომუნიკაციის უნარი** – სტუდენტებს შეუძლია კვლევის დასკვნების, არგუმენტაციისა თუ კვლევის შედეგების გაცნობა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

5. **სწავლის უნარი** – სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა.

6. **ღირებულებები** – სტუდენტებს შეუძლიათ ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
პროგრამით გათვლისწეინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა:

- ლექცია და პრეზენტაცია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (აუდიო-ვიზუალური);
- დისკუსია;
- სემინარი;
- ზეპირი პრეზენტაცია;
- კვლევითი პროექტის, ესსეს ან საშინაო დავალების, განხილვა;
- პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობები; პრაქტიკული მუშაობა (ვორკშოპი);
- ინდივიდუალური კონსულტაციები;
- კვლევითი პროექტები;
- კვლევითი პრაქტიკა;
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები; თითოეული საგნის ფარგლებში გამოყენებული იქნება, როგორც მიმდინარე, ასევე შემაჯამებელი შეფასებები; პროგრამის ფარგლებში გამოიყნება შეფასების შემდეგი მეთოდები:

1. ფორმალური გამოცდები: წერილობითი, ღია, დახურული ტესტირება
2. დისკუსიები განსაზღვრულ თემებზე

3. ზეპირი პრეზენტაციები
4. სხვადასხვა სახის ესეები
5. თეორიული კვლევითი ნაშრომები
6. კვლევის და/ან კვლევის ცალკეული ეტაპების ანგარიშები
7. შემთხვის ანალიზი

სტუდენტების შეფასება მოხდება უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო გეგმა:
იხ. დანართი

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნანა სუმბაძე, ფსიქოლოგიიის დოქტორი, სრული პროფესორი

პროგრამის კონსულტანტი: ივანა მარკოვა – სტირლინგის უნივერსიტეტის პროფესორი

დასაქმების სფეროები:
მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები შეძლებენ მუშაობას მკვლევარის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მაქსიმუმ 12 სტუდენტის მიღება.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის მომზადების შესახებ: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამის მომზადება ფსიქოლოგიის მიმართულებაზე 2007 წლიდან დაიწყო AFP (Academic Fellowship Program) ფარგლებში; პროგრამის ცალკეული საგნები და პროგრამის მიმართულებები სხვადასხვა დროს განხილულ იქნა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებზე; პროგრამის

გეგმა და წამყვანი საგნების სილაბუსები შემუშავებულია ე.წ peer-review პროცესის საფუძველზე, საერთაშორისო ექსპერტების კომენტარების გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათ ფაკულტეტის (მე-3 კორპ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე. ბაზა უზრუნველყოფილია რესურსებით (კომპიუტრული უზრუნველყოფა, ლიტერატურა, ადამიანური რესურსები).

სამეცნიერო/შემოქმედებითი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა:

- ✓ ქცევის სოციალური რეგულაცია;
- ✓ იდენტობა; სოციალური იდენტობა;
- ✓ სოციალური კოგნიცია;
- ✓ სოციალური გავლენები;
- ✓ ჯანმრთელობის ფსიქოლოგია/ ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- ✓ განათლების ფსიქოლოგია;
- ✓ ჯგუფის ფსიქოლოგია;
- ✓ კროსკულტურული სოციალური ფსიქოლოგია;
- ✓ სოციალური პრობლემები და სოც. ფსიქოლოგიური კონტექსტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**
ინსტიტუტი : **სოციალური ფსიქოლოგია**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი; ნანა სუმბაძე, პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
შევიდა ცვლილება: დადგენილება N121/2018 14 მაისი 2018 წელი

120 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო პროგრამა შედგება 90 სავალდებულო კრედიტისგან (მათ შორის, 50 კრედიტი სალექციო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი), 25 კრედიტი არჩევითი კურსია, ხოლო 15 კრედიტი - თავისუფალი.									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკული			შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო კურსები								

1.	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე		✓	ა.ქიტიაშვილი
2.	თანამედროვე ტენდენციები სოციალურ ფსიქოლოგიაში	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე	✓		ა.ქიტიაშვილი
3.	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. სუმბაძე
4.	თანამედროვე სოციალური პრობლემების სოც. ფსიქოლოგიური კონტექსტი	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე	✓		თ. მახარაძე
5.	პიროვნების ფსიქოლოგია – თეორია და კვლევა	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე		✓	ხ. ჟვანია
6.	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. სუმბაძე
7.	ალბათურ-სტატისტკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. მანჯგალაძე
8.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. სუმბაძე
9.	თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე		✓	ა.ქიტიაშვილი
10.	რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი SPSS-ის საშუალებით	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე	✓		ც. ხუნდაძე
	არჩევითი კურსები					სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მაქს. 3 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურიკულუმიდან			
11.	განათლების ფსიქოლოგია	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			თ. აბაშიძე
12.	ზოგადი მენეჯმენტი	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			მ.გაბაშვილი
13.	კულტურათაშორისი ფსიქოლოგია	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ე. კვანჭილაშვილი
14.	ემოცია და კულტურა	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			თ. აბაშიძე

15.	სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი	5	15	30	75	წინაპირობის გარეშე			ვ. ნადარეიშვილი
16.	რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება -2	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ვ. კეჭაყმაძე
17.	სოციალური გავლენები და ჯგუფის დინამიკა	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ე. ფირცხალავა
18.	პროგრამის შეფასება	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ა. ქიტიაშვილი
19.	გენდერი და განვითარება	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			თ. საბედაშვილი
20.	კვლევითი სტატიების ანალიზი და პრეზენტაციის უნარი	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ნ. უძილაური
21.	პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			ე.კვანჭილაშვილი
22.	ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში	5	15	15	90	წინაპირობის გარეშე			მ. მესტვირიშვილი
23.	სოციალური სამართლიანობის თეორიები	5	14	16	95	წინაპირობის გარეშე			ა. ქიტიაშვილი ნ.ფარსადანიშვილი
24.	ინგლისური ენა I, II	10	15	30	205	წინაპირობის გარეშე			ენების ცენტრის პედაგოგები
25.	სტრესის ზემოქმედების შემცირების მექანიზმები - მაინდფულნესი/მაინდფულნეს კვება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე			ნ. სუმბაძე
	სამაგისტრო პროექტი ან ნაშრომი	**30**							

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი